



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1480
13/08/2018

ქალაქი ბათუმი

1480-05-4-201808131055



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაური პირველი ჩიხი სახლი N5 მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობა 2009“ს საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსა და ფასადის რეაბილიტაციის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, “ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N36 დადგენილების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხის განკარგვის წესის“ დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის N15 დადგენილების მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მეორე პუნქტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობა 2009“ის თავჯდომარის ბატონ ირაკლი ხალვაშის 2018 წლის 8 მაისის N6987 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაური პირველი ჩიხი სახლი N5-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობა 2009“ს მიერ წარმოდგენილი პროექტი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსა და ფასადის რეაბილიტაციაზე.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ.ნაკაშიძე) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურმა (მ.ბახტაძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ფრიდონ ხალვაშის გამზირი 358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა